
კონსტრუქციული დასკვნა



ობიექტის დასახელება:

მისამართი. ქ. თბილისი, ჩერქეზიშვილის ქუჩა №19 -ში დასაპროექტებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე

საკადასტრო კოდი: - № 01.10.12.011.007

ექსპერტი-კონსტრუქტორი /ბ.ნიჟარაძე/

კონსტრუქციული დასკვნა

ჩერქეზიშვილის ქ. N19 -ში დასაპროექტებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე.

ქ. თბილისი 12 მაისი 2023 წ.

ჩერქეზიშვილის ქ. №19-ში განსახილველი ნაგებობის მიმდებარედ განიხილება ორი შენობა, რომლებიც ასაშენებელი სახლის ორივე მხარეს მდებარეობს. საპროექტო ნაკვეთის სივიწროვის გამო შენობა №1 ახლოსაა განლაგებული დასაპროექტებელ შენობასთან. ხოლო შენობა №2 5.0 მ ით არის დაშორებული დასაპროექტებელ ნაგებობიდან. ამასთან აღსანიშნავია ისიც რომ ასაშენებელ შენობას არ გააჩნია სარდაფის სართული, რის გამოც მისი ქვაბული მიწის ზედაპირიდან ჩაღრმავებული იქნება მინიმუმ 1.4 მ სიღრმეზე.

გეოლოგიური კვლევა-ძიების მასალების მიხედვით მიმდებარე ნაგებობების საძირკვლები დაფუძნებულია თიხნაროვან გრუნტებზე. საპროექტო შენობის კონსტრუქციული გადაწყვეტიდან გამომდინარე, ნაგებობის საძირკველი ასევე დაფუძნდება თიხნარ გრუნტზე მოწყობილი ხელოვნური ღორღის ბალიშზე სიმაღლით 70 სმ.

ნაგებობა №1 – (ს.კ. 01.10.12.011.002) ოთხსართულიანი შენობა რომელსაც, ნაწილობრივ ფართზე სარდაფის სართული აქვს განლაგებული. შენობა შეიძლება ჩაითვალოს ახალ ნაგებობად, შესაბამისად ვიზუალური დათვალიერებისას არ გამოვლინდა ბზარები ან დეფორმაციები. მიწის ზედაპირიდან სარდაფი ჩაღრმავებულია 1.5 მ-ით. ხოლო სარდაფის გარე კედელი მოცილებულია სამეზობლო მიჯნას 5.0 მ-ით. აღსანიშნავია, რომ შენობის გარე კედლის ქვეშ მოწყობილი მონ. რ/ბ.-ის ჩარჩოს წერტილოვანი საძირკვლები, ჩაღრმავებულია მიწის ზედაპირიდან მხოლოდ 2.0 მ-ით. საძირკვლების ასეთი ადგილმდებარეობა, ხელსაყრელია საპროექტო ნაგებობის ქვაბულის მოსაწყობად რადგან საძირკვლები განლაგდება ერთ დონეზე. შესაბამისად საძირკვლებისგან მოსული დატვირთვა თანაბრად გადანაწილდება გრუნტზე.

ნაგებობა №2 – (01.10.12.011.009) ორსართულიანი შენობა რომელსაც აქვს სარდაფის სართული დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და არ აღენიშნება ბზარები და დეფორმაციები. შენობას აქვს ნახევრად სარდაფის სართული რაც თავის მხრივ დადებითი ფაქტორია და მისი დაშორება საპროექტო ნაგებობიდან 5.0მ ი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ რომ საპროექტო ნაგებობიდან მოსული დატვირთვა არანაირ ზეგავლენას არ მოახდენს აღნიშნულ ნაგებობაზე.

მიმდებარე ნაგებობის დახასიათებიდან გამომდინარე, აუცილებელია გათვალიწინებული იყოს შემდეგი რეკომენდაციები:

1. საპროექტო შენობის ქვაბულის სამუშაოების დაწყებამდე, ორივე მეზობელ ნაგებობებზე მოხდეს არსებული ბზარების ფიქსაცია აღმოჩენის შემთხვევაში.

2. აუცილებელია საძირკვლების მოწყობისას მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული ვიბრაციის გამომწვევი ღონისძიებების ჩატარება.

3. აუცილებელია საძირკვლების განთავსება არსებული ნაგებობის საძირკვლის დონეზე, რადგან არ მოხდეს საყრდენ კედლებზე დამატებითი დატვირთვების კონცენტრაცია.

ამრიგად აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში შესაძლებელია საპროექტო ქვაბულის დამუშავება, რომელიც არ იქნება დამატებითი ზიანის მომტანი მეზობელი ნაგებობებისათვის და მათი მდგრადობა შენარჩუნებული იქნება დღეს არსებულ დონეზე.

ექსპერტი-კონსტრუქტორი:  /ბ.ნიჟარაძე/


Georgia
IDENTITY CARD
GEO
საქართველო
სახელი / FIRST NAME
BEKA
გვარი / LAST NAME
NIZHARADZE
სქესი / SEX
M
პირადი № / PERSONAL №
01022009619
DATE OF BIRTH
21.06.1986
DATE OF EXPIRY
23.08.2023
ბარათის № / CARD No
13IB57271
SIGNATURE
TBILISI
23.08.2013
MINISTRY OF JUSTICE
IDGE013IB57271901022009619<<<<
8606213M2308238GE0<<<<<<<<<<<2
NIZHARADZE<<BEKA<<<<<<<<<<<<<


GEORGIA
TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA
MASTER'S
DIPLOMA
WITH HONOURS
M № 000635
By decision N 23 July 10, 2009
of the faculty of
Civil Engineering
Mr. Beka Nizharadze
was awarded the Degree of Master of
Sciences in
Civil and Industrial Engineering
Registration № 00375
Tbilisi 24 2 2010
day month year
საქართველო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მაგისტრის
დიპლომი
წარჩინების
M № 000635
სამშენებლო
ფაკულტეტის 2009 წლის 10. 7 № 23
გადაწყვეტილებით ბექა ნიჟარაძეს
მიენიჭა მეცნიერების
მაგისტრის აკადემიური ხარისხი
სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის
სპეციალობით
Dean
Seal
Rector